

შპს „ადია ბიზნეს ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	1
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	4
1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ	4
2. მომზადების საფუძველი	4
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	8
5. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	8
6. მომსახურების გაწევის თვითღირებულება	8
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9
8. ფინანსური შემოსავალი	9
9. ფინანსური ხარჯი	9
10. ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან.....	10
11. ძირითადი საშუალებები	11
12. საინვესტიციო ქონება.....	12
13. ფული და ფულის ექვივალენტები.....	12
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	12
15. გაცემული სესხები	13
16. მიღებული სესხები	13
17. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13

შპს „ადია ბიზნეს ჯგუფი“

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	5	2,453,390	3,350,938
საიჯარო მომსახურების თვითღირებულება	6	(898,120)	(619,301)
საერთო მოგება		1,555,270	2,731,637
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(335,834)	(214,725)
კომერციული ხარჯები		(11,441)	-
საოპერაციო მოგება		1,207,995	2,516,912
ფინანსური შემოსავალი	8	1,194,984	484,386
ფინანსური ხარჯი	9	(1,156,564)	(1,979,874)
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	10	(4,104,542)	(1,043,458)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		1,707	1,282
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(4,454)	(64,395)
ზარალი გადასახადების გადახდამდე		(2,860,874)	(85,147)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი		(2,860,874)	(85,147)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 27 სექტემბერს:

ლევან კვინიკაძე
დირექტორი

შპს „ადია ბიზნეს ჯგუფი“

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	5	2,453,390	3,350,938
საიჯარო მომსახურების თვითღირებულება	6	(898,120)	(619,301)
საერთო მოგება		1,555,270	2,731,637
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(335,834)	(214,725)
კომერციული ხარჯები		(11,441)	-
საოპერაციო მოგება		1,207,995	2,516,912
ფინანსური შემოსავალი	8	1,194,984	484,386
ფინანსური ხარჯი	9	(1,156,564)	(1,979,874)
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	10	(4,104,542)	(1,043,458)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		1,707	1,282
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(4,454)	(64,395)
ზარალი გადასახადების გადახდამდე		(2,860,874)	(85,147)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი		(2,860,874)	(85,147)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 27 სექტემბერს:



ლევან კვინიკაძე
დირექტორი

შპს „ადია ბიზნეს ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	282,252	261,483
საინვესტიციო ქონება	12	9,580,890	10,079,780
გუდვილი		1,183,913	1,183,913
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,047,055	11,525,176
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	13	9,940	44,109
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	2,611,306	2,203,135
გაცემული სესხები	15	13,629,786	10,824,662
მარაგები		160,960	-
სულ მიმდინარე აქტივები		16,411,992	13,071,906
სულ აქტივები		27,459,047	24,597,082
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		43,160	43,160
დაუფარავი ზარალი		(4,200,014)	(1,339,140)
სულ კაპიტალი		(4,156,854)	(1,295,980)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	16	30,127,855	24,778,470
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		30,127,855	24,778,470
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	17	427,378	775,354
მოკლევადიანი სესხები	16	765,386	259,320
საგადასახადო ვალდებულება		295,282	79,918
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,488,046	1,114,592
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		27,459,047	24,597,082

4-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ადია ბიზნეს ჯგუფი“

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2018	43,160	(1,253,993)	(1,210,833)
პერიოდის ზარალი	-	(85,147)	(85,147)
31 დეკემბერი, 2019	43,160	(1,339,140)	(1,295,980)
პერიოდის ზარალი	-	(2,860,874)	(2,860,874)
31 დეკემბერი, 2020	43,160	(4,200,014)	(4,156,854)

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

ადია ბიზნეს ჯგუფი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2017 წლის 14 ნოემბერს. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405238853. შპს „ადია ბიზნეს ჯგუფის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს შვილობილი კომპანიების მართვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი იყო ნინო ზაქაძე.

შპს „ადია ბიზნეს ჯგუფი“ თავის მხრივ ფლობს შემდეგ კომპანიებში წილებს:

კომპანიის დასახელება	საქმიანობის ტიპი	წილი%
შპს „ბელინსკის 10ა“	საიჯარო მომსახურების გაწევა	100%
შპს „აბანოთუბანი“	საიჯარო მომსახურების გაწევა	100%

შპს „ადია ბიზნეს ჯგუფი“ თავის შვილობილებთან ერთად (შემდგომში ჯგუფი), საანგარიშგებო წლის განმავლობაში დასაქმებული იყო 8 თანამშრომელი.

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

კონსოლიდაციის საფუძველი.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის და კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი გუდვილის შეფასებას ახდენს შეძენის თარიღისთვის, როგორც:

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში;
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის

კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2020 წლის 31 დეკემბერს და 2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, ჯგუფს არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

• **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება

წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში

მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას. მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების
	ვადა
შენობა-ნაგებობები	5-20
მანქანა-დანადგარები	5-10
ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	5-10
ტრანსპორტი	5
სხვა	4-10

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, შემდგომი აღრიცხვისთვის ის საინვესტიციო ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, ფასდება რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. ყველა სხვა დანარჩენი საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, ძირითადი საშუალებების შემდგომ აღრიცხვაში გამოყენებული პოლიტიკის შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები.

• **აღიარება და შეფასება.** ჯგუფის არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სასაქონლო ნიშანსა და ISO სერტიფიკატს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

• **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე

არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები . ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლისთვის/გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც მისი ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.
- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფი დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

ჯგუფი შემოსავალს აგენერირებს საიჯარო მომსახურებიდან, რომელმაც 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდისთვის შეადგინა 2,453,390 ლარი.

6. მომსახურების გაწევის თვითღირებულება

	2020	2019
ძირითადი საშუალებების ცვეთა	(606,476)	(600,410)
ძირითადი საშუალებების რემონტი	(291,644)	(18,891)
სულ მომსახურების გაწევის თვითღირებულება	(898,120)	(619,301)

ჯგუფის საიჯარო მომსახურების თვითღირებულება მოიცავს საოპერაციო საქმიანობაში ჩართული ძირითადი საშუალებების ცვეთას და მათ რემონტს, რომელიც საერთო ჯამში შეადგენს 898,120 ლარს.

შპს „ადია ბიზნეს ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2020	2019
სხვა საგადასახადო ხარჯი	(109,671)	(113,362)
შრომის ანაზღაურება	(98,364)	(50,293)
კომუნალური ხარჯები	(20,137)	-
საკონსულტაციო ხარჯები	(17,505)	(6,813)
შენობის კეთილმოწყობის ხარჯი	(13,299)	-
დაზღვევა	(12,213)	(18,112)
იჯარის ხარჯი	(5,915)	-
ცვეთა და ამორტიზაცია	(5,274)	(7,632)
მომსახურების ხარჯები	(3,345)	(4,576)
საპენსიო ხარჯი	(1,660)	-
საბანკო ხარჯები	(829)	(6,342)
სხვასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(47,622)	(7,595)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(335,834)	(214,725)

8. ფინანსური შემოსავალი

1,194,984 ლარის ოდენობის საპროცენტო შემოსავალი სრულად უკავშირდება იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე დარიცხულ პროცენტს.

9. ფინანსური ხარჯი

	2020	2019
საპროცენტო ხარჯი ადგილობრივი ბანკიდან მიღებულ სესხებზე	(1,139,391)	(1,747,670)
საპროცენტო ხარჯი იურიდიული პირებისგან მიღებულ სესხებზე	(1,678)	(13,210)
საპროცენტო ხარჯი ფიზიკური პირისგან მიღებულ სესხზე	(15,495)	(16,282)
სესხის სტრუქტურის საკომისიო	-	(202,712)
სულ ფინანსური ხარჯი	(1,156,564)	(1,979,874)

შპს „ადია ბიზნეს ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან

	2020	2019
გაცემული სესხები	1,320,026	318,286
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	220,771	62,288
მისაღები პროცენტები	124,196	8,081
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	166	(1,593)
გრძელვადიანი სესხები	(5,679,364)	(1,301,907)
მოკლევადიანი სესხები	(74,364)	(155,995)
ფული და ფულის ექვივალენტები	(8,239)	34,429
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	(4,749)	(9,947)
გადასახდელი პროცენტები	(2,985)	(100)
სულ ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	(4,104,542)	(1,043,458)

შპს „ადია ბიზნეს ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	დაუმთავრებელი მშენებლობა	სხვა ძირითადი საშუალებები	ჯამი
31 დეკემბერი, 2018	105,314	309,317	-	-	1,697	416,328
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	803	31,712	-	-	32,515
გასვლა	-	(2,575)	-	-	-	(2,575)
31 დეკემბერი, 2019	105,314	307,545	31,712	-	1,697	446,268
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	58,743	-	40,655	3,263	102,661
გასვლა	-	(14,919)	-	-	-	(14,919)
31 დეკემბერი, 2020	105,314	351,369	31,712	40,655	4,960	534,010
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი, 2018	(20,343)	(92,749)	-	-	(509)	(113,601)
წლის დარიცხული ცვეთა	(10,856)	(57,156)	(2,831)	-	(341)	(71,184)
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2019	(31,199)	(149,905)	(2,833)	-	(850)	(184,785)
წლის დარიცხული ცვეთა	(10,856)	(49,198)	(6,344)	-	(575)	(66,973)
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2020	(42,055)	(199,103)	(9,175)	-	(1,425)	(251,758)
ნარჩენი ღირებულება						
31 დეკემბერი, 2019	74,115	157,640	28,881	-	847	261,483
31 დეკემბერი, 2020	63,259	152,266	22,537	40,655	3,535	282,252

შპს „ადია ბიზნეს ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. საინვესტიციო ქონება

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობები	ჯამი
31 დეკემბერი, 2018	961,655	9,917,456	10,879,111
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-	-
გასვლა	-	(420,162)	(420,162)
31 დეკემბერი, 2019	961,655	9,497,294	10,458,949
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	36,866	36,866
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი, 2020	961,655	9,534,160	10,495,815
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი, 2018	-	(263,574)	(263,574)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(115,595)	(115,595)
გასვლა			
31 დეკემბერი 2019	-	(379,169)	(379,169)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(535,756)	(535,756)
გასვლა			
31 დეკემბერი 2020	-	(914,925)	(914,925)
ნარჩენი ღირებულება			
31 დეკემბერი, 2019	961,655	9,118,125	10,079,780
31 დეკემბერი, 2020	961,655	8,619,235	9,580,890

13. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	2,199	24,055
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	7,632	19,945
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	109	109
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	9,940	44,109

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	1,722,884	1,523,342
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	27,349	556
გადახდილი ავანსები	861,073	679,237
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,611,306	2,203,135

შპს „ადია ბიზნეს ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

15. გაცემული სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ტიპი	ვალუტა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ი/პ გაცემული სესხები	12%-14%	მოკლევადიანი სესხი	ლარი	1,223,238	1,009,804
ი/პ გაცემული სესხები	9.5%-11%- 12%	მოკლევადიანი სესხი	დოლარი	12,406,548	9,814,858
სულ გაცემული სესხები				13,629,786	10,824,662

16. მიღებული სესხები

მოკლევადიანი სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ტიპი	ვალუტა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
იურიდიული პირებისგან აღებული სესხები	12%	მოკლევადიანი სესხი	ლარი	13,084	102,455
საბანკო დაწესებულებებისგან აღებული სესხები	4%-8.5%- 11%	მოკლევადიანი სესხი	დოლარი	460,565	-
ფიზიკური პირებისგან აღებული სესხები	12%	მოკლევადიანი სესხი	ლარი	165,848	156,865
საბანკო დაწესებულებებისგან აღებული სესხები	4%	მოკლევადიანი სესხი	ევრო	125,889	-
სულ მოკლევადიანი სესხები				765,386	259,320

გრძელვადიანი სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ტიპი	ვალუტა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
საბანკო დაწესებულებებისგან აღებული სესხები	4%	გრძელვადიანი სესხი	ევრო	24,735,592	19,989,411
საბანკო დაწესებულებებისგან აღებული სესხები	8.5%-11%	გრძელვადიანი სესხი	დოლარი	5,392,263	4,789,059
სულ გრძელვადიანი სესხები				30,127,855	24,778,470

17. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მიღებული ავანსები	337,524	769,573
სავაჭრო ვალდებულებები	87,503	5,751
გადასახდელი ხელფასები	2,321	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	30	30
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	427,378	775,354